პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № ----
2022წ.--------- თებერვალი
ქ. ოზურგეთი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.ვ", „დ.ე" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/01/2018, 190040000.35.113.016326) და დადგენილების თანდართული დანართი N2 ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

,,დანართი №2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

N	პროფესიული საჯარო მოხელეები	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი რანგი	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს აპარატის უფროსი	1	1-ლი რანგი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	1 980
2.	საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე	1	მე-2 რანგი, 1 სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილე	1 650
3	**საორგანიზაციო განყოფილება**	**6**		
3.1.	განყოფილების უფროსი	1	მე-2 რანგი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1 540
3.2.	უფროსი სპეციალისტი საოქმო მომსახურების საკითხებში	1	მე-3 რანგის მეორე კატეგორია	1 100

3.3.	უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში	1	მე-3 რანგის მეორე კატეგორია	1 100
3.4.	უფროსი სპეციალისტი დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების საკითხებში	1	მე-3 რანგის მეორე კატეგორია	1 100
3.5.	უმცროსი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში	1	მე-4 რანგის პირველი კატეგორია	880
3.6.	უმცროსი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის საკითხებში	1	მე-4 რანგის მესამე კატეგორია	825
4	**სამდივნო განყოფილება**	**7**		
4.1.	განყოფილების უფროსი	1	მე-2 რანგი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1 540
4.2.	უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში	1	მე-3 რანგის მეორე კატეგორია	1 100
4.3.	უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	მე-3 რანგის მეორე კატეგორია	1 100
4.4.	უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	მე-3 რანგის მეორე კატეგორია	1 100
4.5.	უმცროსი სპეციალისტი	3	მე-4 რანგის პირველი კატეგორია	880
5	**საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება**	**6**		
5.1	განყოფილების უფროსი	1	მე-2 რანგი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1 540
5.2	უფროსი სპეციალისტი საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხებში	1	მე-3 რანგის მეორე კატეგორია	1 100
5.3	უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო -ანალიტიკური მომსახურების საკითხებში	1	მე-3 რანგის მეორე კატეგორია	1 100
5.4	უფროსი სპეციალისტი პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	მე-3 რანგის მესამე კატეგორია	990
5.5	უმცროსი სპეციალისტი ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1	მე-4 რანგის პირველი კატეგორია	880
5.6	უმცროსი სპეციალისტი ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის საკითხებში	1	მე-4 რანგის მეორე კატეგორია	825

საშტატო ერთეულის რაოდენობა		**21**	

6. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები	
დასახელება	**რაოდენობა**
6.1 საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1
6.2 საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	1
6.3 საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	1
6.4 ექსპერტ-სპეციალისტი	1
6.5 IT სპეციალისტი	1
ს უ ლ	**5**

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განმარტებითი ბარათი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების მიზანია, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესრულებლის მიზნით IT სპეციალისტის მოწვევის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი მდგომარეობს შემდეგში, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) თანამდებობრივი სარგოები აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში", ამავე კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს, ხოლო ამავე მუხლი მე-4 პუნქტების შესაბამისად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. აღნიშნულის გათვალისწინებით ,,საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - საკრებულოსთან შეთანხმებით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა საკრებულოში კომპიუტერული ტექნიკის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად და ინოვაციური სისტემების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე IT სპეციალისტის მოწვევა.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.

- ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

6. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2022 წლის - თებერვალი.